

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“

(ს/კ 404480076) -ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

## სარჩევი

### 1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

### 2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები.

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“ ს.კ 404480076 -ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

|                                                             | ფინანსური მდგომარეობა |            |            |            |
|-------------------------------------------------------------|-----------------------|------------|------------|------------|
|                                                             |                       |            |            |            |
| ფინანსური მდგომარეობა                                       |                       | 31/12/2024 | 31/12/2023 | 31/12/2022 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 1                     | 1972281    | 1122174    | 1089934    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 2                     | 550691     | 670655     | 732649     |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 3                     | 67713      | 9886       | 73923      |
| მარაგები                                                    |                       | 40877      | 21527      | 16356      |
| მზა პროდუქცია                                               |                       | 0          | 0          | 0          |
| სხვა                                                        | 4                     | 40877      | 21527      | 16356      |
| საინვესტიციო ქონება                                         | 5                     | 352879     | 352879     | 266944     |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 6                     | 115444     | 115444     | 115444     |
| ბიოლოგიური აქტივები                                         |                       |            |            | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                     |                       |            |            | 0          |
| გადაფასების მოდელით                                         |                       |            |            | 0          |
| გუდვილი                                                     |                       |            |            | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                | 7                     | 44944      | 25057      | 30424      |
| ძირითადი საშუალებები                                        | 8                     | 1059546    | 595848     | 733292     |

|                                                                                             |    |         |         |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------|----|---------|---------|---------|
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           |    |         |         | 0       |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         |    |         |         | 0       |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  |    |         |         | 0       |
| სულ აქტივები                                                                                |    | 4204375 | 2913470 | 3058966 |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |    |         |         |         |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         |    | 0       | 0       | 0       |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 9  | 429393  | 12213   | 29243   |
| ანარიცხები                                                                                  |    |         |         |         |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 10 | 340     | 9082    | 13182   |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 11 | 45126   | 56432   | 41944   |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  |    |         |         |         |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             |    |         |         |         |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 12 | 0       | 12213   | 571234  |
| მიღებული გრანტები                                                                           |    |         |         |         |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 13 | 0       | 3147    | 4938    |
| სულ ვალდებულებები                                                                           |    | 474 859 | 80874   | 660541  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |    |         |         |         |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 14 | 402798  | 12213   | 792798  |
| საემისიო შემოსავალი                                                                         |    |         | 0       | 0       |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                |    |         | 0       | 0       |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   |    | 3326718 | 2259798 | 1605627 |
| გადაფასების რეზერვი                                                                         |    |         |         | 0       |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        |    |         |         | 0       |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       |    | 3729516 | 2832596 | 2398425 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      |    | 4204375 | 2913470 | 3058966 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   |    | 3946389 | 2292695 | 2295249 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              |    | 45126   | 24997   | 89307   |

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“ ს/კ 404480076 - ს

მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

| საქმიანობის შედეგები                                                                           |    |            |            |            |
|------------------------------------------------------------------------------------------------|----|------------|------------|------------|
| საქმიანობის შედეგები                                                                           |    | 31/12/2024 | 31/12/2023 | 31/12/2022 |
| ნეტო ამონაგები                                                                                 | 15 | 4138948    | 3642129    | 3577368    |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                            |    |            |            |            |
| მომსახურების გაწევიდან                                                                         |    | 4138948    | 3642129    | 3577368    |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                   |    |            |            |            |
| სხვა                                                                                           |    |            |            |            |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                      |    |            |            |            |
| საწყისი მარაგები                                                                               |    |            |            |            |
| მარაგების შესყიდვა                                                                             |    |            |            |            |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                      |    |            |            |            |
| საბოლოო მარაგები                                                                               |    |            |            |            |
| საერთო მოგება                                                                                  |    | 4138948    | 3642129    | 3577368    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                     |    |            |            |            |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                       | 16 | -1,341,860 | -1308792   | -1433341   |
| ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                      |    | -200,714   | -136851    | -143246    |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                          | 17 | 68,121     |            |            |
| საპროცენტო ხარჯი                                                                               | 18 | 0          | -11788     | -65205     |
| იჯარის ხარჯი                                                                                   | 19 | -196,925   | -197319    | -229233    |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                       | 20 | -1,315,858 | -1328064   | -805931    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                         |    |            |            | -2676956   |
| საოპერაციო მოგება                                                                              |    |            |            | 900412     |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                         |    |            |            |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                             | 21 | 0          | 0          | -25094     |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                       |    |            |            |            |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                     |    |            |            |            |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 22 |            |            |            |
| მიღებული დივიდენდები                                                                           |    |            |            |            |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                        | 23 | -84,792    | -5144      | -22831     |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                       |    | 1066920    | 654171     | 852487     |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                      |    |            |            |            |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)                                                       |    | 1066920    | 654171     | 852487     |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                       |    |            |            |            |

|                                                                                                                                   |  |         |         |         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|---------|---------|---------|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       |  |         | 0       | 0       |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) |  |         | 0       | 0       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                                            |  |         | 0       | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               |  | 1066920 | 654171  | 852487  |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               |  | 2832596 | 2398425 | 1847659 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               |  | 0       |         | 0       |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    |  |         |         | 0       |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             |  |         |         | 0       |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         |  | -170000 | -220000 | -301721 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                                    |  | 3729516 | 2832596 | 2398425 |

## 2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### ზოგადი ინფორმაცია

შპს ტრი მედია ინტელიჯენსი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/ნ 404480076, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2014 წლის 13 ოქტომბრიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ. №156 კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა მერაბ ფაჩულია, 01007003464.

კომპანიის მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება, ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავენ კომპანიის დირექტორი: მზია სილაგაძე (პ.ნ 01024057468) შპს ეწევა საქართველოს სატელევიზიო აუდიტორიის კვლევას.

### ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია

პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული

### **ფუნქციონირებადი საწარმო**

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

### **სამუშაო ვალუტა.**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

### **უცხოური ვალუტა.**

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

|                                   | 2024 წ 31 დეკემბერი | 2023 წ 31 დეკემბერი |
|-----------------------------------|---------------------|---------------------|
| აშშ დოლარი/ლარი                   | <b>2.8068</b>       | <b>2.6894</b>       |
| ევრო/ლარი                         | <b>2.9306</b>       | <b>2.9753</b>       |
| ბრიტანული გირვანქა სტერლინგი/ლარი | <b>3.5349</b>       | <b>3.4228</b>       |

### **ამონაგების აღირება.**

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც:

შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

## გადასახადები

### მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა 5%

მანქანა დანადგარები 20%

სხვა ძირითადი საშუალებები 15%

## **იჯარა**

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

## **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

## **დივიდენდები**

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

## **სავაჭრო მოთხოვნები.**

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საწარმომ აღიარა დებიტორული დავალიანების გაუფასურება.

## ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

### 1. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                       | 2024      | 2023      |
|---------------------------------------|-----------|-----------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1,972,281 | 1 122 174 |

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში.

### 2. სავაჭრო მოთხოვნები

|                            | 2024    | 2023    |
|----------------------------|---------|---------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 550,691 | 670 655 |

კომპანიამ მომსახურების გაწევა დაიწყო 2016 წლიდან. მისი მომსახურების მიმღები პირები წარმოადგენენ ძირითადად სამაუწყებლო კომპანიებს, რომლებიც არიან მისი გრძელვადიანი კონტრაქტორები, ასევე კომპანიის მომსახურებას იღებენ სარეკლამო კომპანიები. კომპანია აკვირდება დებიტორული დავალიანების დაფარვის ტენდენციას და საჭიროების შემთხვევაში პერიოდის ბოლოს საექვო მოთხოვნებზე ანარიცხებს ქმნის.

### 3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

|                                                             | 2024   | 2023  |
|-------------------------------------------------------------|--------|-------|
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 67,713 | 9 886 |

გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენს კომუნიკაციისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს. სატელეკომუნიკაციო მომსახურება მივიღეთ 2025 წლის იანვრის თვეში. ასევე კომპანიამ გადაურიცხა ხელშეკრულების თანახმად ავანსი კვლევით ორგანიზაციას რომელსაც დავუკვეთეთ საბაზისო ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურება მივიღეთ 2025 წ.

#### 4. მარაგები

|          | 2024  | 2023   |
|----------|-------|--------|
| მარაგები | 40877 | 21 527 |

#### 5. საინვესტიციო ქონება

|                     | 2024    | 2023    |
|---------------------|---------|---------|
| საინვესტიციო ქონება | 352 879 | 352 879 |

2021- 2023 წლებში კომპანიამ არარეზიდენტი პირისგან მიიღო მომსახურება ახალი ტექნოლოგიის დანერგვის კუთხით, იქიდან გამომდინარე რომ აღნიშნული ტექნოლოგია შემდეგ წლებში კომპანიას მოუტანს დამატებით შემოსავალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაწეული ხარჯი მიზნულ იქნეს საინვესტიციო ქონებად.

#### 6.სხვა მოკლევადიანი აქტივები

|                            | 2024    | 2023    |
|----------------------------|---------|---------|
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 115 444 | 115 444 |

სხვა მიმდინარე აქტივს წარმოადგენს დამხმარე ცვლადი მოწყობილობები .

#### 7.სხვა არამატერიალური აქტივები

|                              | 2024  | 2023   |
|------------------------------|-------|--------|
| სხვა არამატერიალური აქტივები | 44944 | 25 057 |

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს - პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 1 -დან 10 წლამდე.

#### 8. ძირითადი საშუალებები

|                      | 2024    | 2023    |
|----------------------|---------|---------|
| ძირითადი საშუალებები | 1059546 | 595 848 |

|                                        | 01/01/2024<br>საბალანსო დ-ბა | ცვეთა    | 31/12/2024<br>ნარჩენი საბალანსო დ-ბა |
|----------------------------------------|------------------------------|----------|--------------------------------------|
| სასერვერო მოწყობილობა                  | 212797,72                    | 70766,89 | 142030                               |
| მოწყობილობები (მზომები)                | 250104,17                    | 128169   | 655760                               |
| იჯარით აღებული ქონების<br>კეთილმოწყობა | 38569,34                     | 15612.91 | 22956,43                             |

კომპანიის ძირითად საშუალებების დიდ ნაწილს წარმოადგენს სასერვერო მოწყობილობები და სატელევიზიო აუდიტორიის მზომი ხელსაწყოები. 2024 წლის ბოლოს ჩამოვითანეთ ახალი მზომები რომლის ისტალაციაც დაიწყო კომპანიამ 2025 წლის დასაწყისიდან.

#### 9 . სავაჭრო ვალდებულებები

|                       | 2024    | 2023   |
|-----------------------|---------|--------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 429 393 | 12 213 |

სავაჭრო ვალდებულებები შედგება მიმდინარე სამეურნეო ვალდებულებებისგან. ასევე წლის ბოლოსთვის ვალდებულება გვქონდა Kantar media-ს მიმართ, ვისგანაც შევიძინეთ ახალი მზომები. აღნიშნული დავალიანება დავფარეთ 2025 წ დასაწყისში.

#### 10. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

|                                    | 2024 | 2023  |
|------------------------------------|------|-------|
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 340  | 9 082 |

#### 11. საგადასახადო ვალდებულებები

2024                      2023

|                            |       |        |
|----------------------------|-------|--------|
| საგადასახადო ვალდებულებები | 45126 | 56 432 |
|----------------------------|-------|--------|

კომპანიას ჰქონდა დეკემბრის თვის დარიცხული დღგ -ს გადასახადი

## 12. სხვა ვალდებულებები

|                    |      |       |
|--------------------|------|-------|
|                    | 2024 | 2023  |
| სხვა ვალდებულებები | 0    | 3 147 |

2024 წლის ბოლოს კომპანიას არ ჰქონია ავანსად ჩარიცხული თანხა.

## 13. კაპიტალი

|                                                                                                |         |         |
|------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
|                                                                                                | 2024    | 2023    |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 402 798 | 572 798 |

2024 წელს დამფუძნებელმა კრების ოქმის საფუძველზე შეამცირა კაპიტალი

170 000 ლარით.

## 14. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

|                |           |           |
|----------------|-----------|-----------|
|                | 2024      | 2023      |
| ნეტო ამონაგები | 4 138 948 | 3 642 129 |

კომპანიის შემოსავალი ფორმირდება სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მომსახურებიდან.

## 15. დასაქმებულთა ანაზღაურება

|                          |          |            |
|--------------------------|----------|------------|
|                          | 2024     | 2023       |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -1341860 | -1 308 792 |

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 42 – 45 თანამშრომელს.

## 16. საპროცენტო ხარჯი

|                  |      |          |
|------------------|------|----------|
|                  | 2024 | 2023     |
| საპროცენტო ხარჯი | 0    | - 11 788 |

2024 წლის განმავლობაში კომპანიას საპროცენტო ხარჯი არ ჰქონია.

#### 17. იჯარის ხარჯი

|              | 2024     | 2023      |
|--------------|----------|-----------|
| იჯარის ხარჯი | -196 925 | - 197 319 |

კომპანია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში.

#### 18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

|                                          | 2024     | 2023        |
|------------------------------------------|----------|-------------|
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -1315858 | - 1 328 064 |

საკონსულტაციო მომსახურება (457 010)

კომუნიკაციის ხარჯი (273 240)

კომუნალური (19 738)

საწვავი (32 280)

სხვადასხვა (533 590)

კომპანიის სადირიჯხო პოლიტიკის მიხედვით 600 ლარამდე ღირებულების ნივთი აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალში.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2024 წელს კომპანიამ წლის ბოლოს ჩამოიტანა უახლესი მოდელის მზომები, რომელიც 2025 წლიდან სრულად ჩაანაცვლა და განაახლა როგორც ტექნიკურად ასევე ტექნოლოგიურად . აღნიშნული ცვლევებით ჩვენმა ორგანიზაციამ სატელევიზიო ინდუსტრიას შესთავაზა მაღალი სტანდარტის ხარისხიანი კვლევის შედეგები, რაც მომდევნო წლების განმავლობაში კომპანიას მოუტანს კიდევ უფრო მეტ ნდობას და ფინანსულ შემოსავალს.

#### ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2025 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: მზია სილაგაძე (პ.ნ 01024057468)